კვირა 21 მარტი ფასი 10 კაპ.



# მათრახი

№ 12 — სალამური

სოციალ-დემოკრატიული იუმორ. ჟურნალი.



ედაქტორი. ვაჰ ცხოვრების უკუღმართობავ! ყველა შესტრფის გაზაფხულის მშვენიერებას, მხოლოდ მე, მე უნდა ვიტირო!

## ვითომ-ქეთევან ლეონიძის და ვითომ-ლევან ხიმშიაშვილის ვითომ-გასამართლება.

(საბავშვო გასართობი 2 მოქმედებათ)

საჭიროა წინასწარი განმარტება ქვემორე დაწერილის გასაგებათ. მაყურებელი ერთსა და იმავე დროს უნდა იმყოფებოდეს ბარბაროსულ მეჩვიდმეტე საუკუნეში და განათლებულ მეოცე საუკუნის დასაწყისში. როცა ბრალდებულთა და მოწმეებს შეხედავს, XVII საუკუნეში უნდა გადახტეს, ხოლო როცა მოსამართლეებს, ნაფიც მსაჯულებს, ბრალმდებელსა და ვექილებს წაასწრობს თვალს, მყის მეოცე საუკუნეში უნდა ამოჰყოს თავი. თუ ცინიკობაა, თვალდახუჭული ან ბრმა მაყურებელი უსმენს ყოველსავე, რასაც სცენაზე ლაპარაკობენ, იგი ადვილათ დაასკვნის, რომ ყველა მომქმედნი პირნი, როგორც ბრალდებულ-მოწმეები, ისე მსაჯულნიცა და ვექილებიც არც თუ იმდენათ გასცილდნენ შაჰ-აბაზის ხანას.

### მოქმედება I

**ვითომ თავმჯდომარე.** ბოქაულო! ბრალდებულნი და მოწმეები გამოცხადდენ?

**ვითომ ბოქაული.** დიაღ! მხოლოთ...

**ვით. თავმჯ.** (აწყვეტინებს) ბრალდებულნი და მოწმეები გამოცხადდენ?

**ვით. ბოქ.** მოწმეები ყველა არ...

**ვით. თავმჯ.** (აწყვეტინებს) მე თქვენა გკითხავთ, ბრალდებულნი და მოწმეები გამოცხადდენ მეთქი?

**ვით. ბოქ.** ზოგიერთი მოწმეები...

**ვით. თავმჯ.** (აწყრალათ) მოითმინეთ, ბოქაულო! მიპასუხეთ შემდეგ კითხვაზე: ბრალდებულნი და მოწმეები გამოცხადდენ?

**ვით. ბოქ.** ბრალდებულნი გამოცხადდენ, ხოლო...

**ვით. თავმჯ.** (მრისხანეთ) გაჩერდით! ბოქაულო, ბრალდებულნი და მოწმეები გამოცხადდენ-მეთქი? მიპასუხეთ: დიაღ თქო!

**ვით. ბოქ.** დიაღ!

**ვით. თავმჯ.** მოწმეები ყველანი გამოცხადდენ?

**ვით. ბოქ.** გამოცხადდენ: გოგია დიაკვ...

**ვით. თავმჯ.** (აწყვეტინებს) მე თქვენა გკითხავ, ყველა მოწმეები გამოცხადდენ-მეთქი?

**ვით. ბოქ.** არ გამოცხადდენ: შაი-აბაზი...

**ვით. თავმჯ.** (სასტიკათ) ბოქაულო, მოითმინეთ! როცა მე გკითხო: „ბოქაულო, ყველა მოწმეები გამოცხადდენ"?— თქვენ მიპასუხეთ: არა-თქო! ბოქაულო! ყველა მოწმეები გამოცხადდენ?

**ვით. ბოქ.** არა!

**ვით. თავმჯ.** რამდენი მოწმე გამოცხადდა?

**ვით. ბოქ.** (თითებზე ითვლის) გოგია დიაკვანი, სვიმონ ლიონიძე...

**ვით. თავმჯ.** (მოუთმენლათ) რამდენი მოწმე გამოცხადდა? მიპასუხეთ — ექვსი-თქო!

**ვით. ბოქ.** ექვსი.

**ვით. თავმჯ.** დამისახელეთ!

**ვით. ბოქ.** სვიმონ ლიონიძე, გოგია დიაკვანი, მოხუცი დედაკაცი, შანშიაშვილის წვერებს იწებებს და ისიც მალე გამოცხადდება...

**ვით. თავმჯ.** (საყვედურის კილოთი) ისკანდერ-ბეი და არა შანშიაშვილი! (ვითომ-მდივანს) მდივანო! რა მიზეზის გამო დააკლდენ მოწმეები?

**ვით. მდივ.** უწყება ყველას ჩაბარებული აქვს. მისი უდიდებულესობა შაი აბაზი სკეტინგ-რინკზე ბრძანდება, კრილოვის ქუჩაზე. გოგრიან ციგით დაგორაობსო. ესტატე და როინ არტისტიულ საზოგადოების თეატრში წავიდნენ, ფარსი უნდა ვნახოთო. ბევრი ვუმტკიცე, აქ უფრო ისიამოვნებთ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს. ზაზა მთვრალი გახლავთ, ხოლო მისმა უმაღლესობამ, შაის ასულმა ფაიხოშმა არ ინება მობრძანება. ასე ბრძანა: გ. რობაქიძის შემდეგ მე არავის თამაში არ მომეწონებაო.

**ვით. თავმჯ.** ბრალდებულნო! (დომა-აზრიანათ) თქვენ სრული უფლება გაქვთ, პასუხი არ გასცეთ იმ კითხვებს, რომელსაც აქ მსაჯულნი, ბრალმდებელი და ვექილნი მოგაწოდებენ გაიგეთ? თქვენ შეგიძლიათ სრულიად დაჩუმდეთ და არა უპასუხოთ რა მსაჯულებსა და ვექილებს. ამის უფლებას თქვენ გაძლევსთ კანონი. ასე რომ სრულიად კანონიერი იქნება, თუ თქვენ პასუხს არ გასცემთ აქ მოწოდებულ კითხვებს, რადგანაც ჩვენი კანონი ბრალდებულებს ნებას აძლევს მსაჯულებისა თუ სხვის ვისმე კითხვებზე დუმილით უპასუხოთ. მაშასადამე, თუ მოისურვებთ, თქვენც შეგიძლიათ ისარგებლოთ თქვენი უფლებით და არაფერი არ უპასუხოთ შემკითხველებს. (ვით.-ლევან ხიმშიაშვილს) ხიმშიაშვილო! თქვენ ბრალი გედებათ, რომ შეიყვარეთ თქვენი მეგობრის ცოლი და სცხოვრობდით მასთან ქურდულათ, გაუმხელელათ იმ დროს, როდესაც მთელი საქართველო უაღრეს პოლიტიკურ გასაჭირს განიცდიდა. დამნაშავე ხართ თუ არა?

**ვით.-ლევან.** მე, რასაკვირველია, მმმუ*.

**ვით. ბრალმდებელი.** ბ. თავმჯდომარევ! გთხოვთ ბრალდებულ ხიმშიაშვილის სიტყვები ოქმში შეიტანოთ!

**ვით. მდივ.** (ოქმში შეაქვს).

**ვით. ბრალმდებელი** ხიმშიაშვილო! თქვენ ძალიან, ძალიან გიყვარდათ ქეთევან ლიონიძისა?

**ვით. ხიმშიაშვილი.** მე, რასაკვირველია, მიყვარდა...

**ვით. ბრალმდებელი.** (თავისთვის) საბრალო! (ვითომ ხიმშიაშვილს) მერე რათ არ გაუცხადეთ თქვენს მეგობარს სვიმონ ლიონიძეს. ან იქნებ, თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ ასეთი გამჟღავნებით თქვენ სამშობლოს საქმეს შეაფერხებდით?

**ვით. ხიმშიაშვილი.** მე, რასაკვირველია, თუ რამე დანაშაული მიმიძღვის, ეს სოციალ-დემოკრატების ბრალია და არა ჩემი. სოციალ-დემოკრატებ-

*). აი სად იჩინა თავი პურიშკევიჩის ნათესაობამ! ეშმაკი.

მა, რასაკვირველია, მე ბევრი ჩირქი მომცხეს და, რასაკვირველია, მე სხვისი, რა ჰქვიანა, მსხვერპლი გავხდი.

**I ვით. ვექილი.** გთხოვთ ოქმში აღნიშნოთ ბრალდებულის მიერ წარმოთქმული სიტყვები.

**ვით. მდივ.** (ოქმში აღნიშნავს).

**I ვით.-მსაჯული.** მილედი ქეთევან! მე გავკადნიერდები და გკითხავთ: როდესაც თქვენთან შემობრძანდა მისტერ ხიმშიაშვილი და თქვენი მეუღლ ს, ლორდ სვიმონ ლიონიძის სა მაჟესტე, შაის მიერ დაკავების ამბავი მოგახსენათ, რა სიტყვებით შეხვდით ამ ამბავს?

**ვით. ქეთევან.** თავი დამანებეთ, თავ. ნიკო! რა დროს მასხარაობაა? მე დღეს პიესაში ვთამაშობ. მის მაგიერ, რომ დამეხმაროთ, თქვენ ხელს მიშლით, გამეორებასაც არ მაცლით!

**I ვით. მსაჯული.** Pardon, მილედი!

(ფარდა ელვასავე სწრაფათ ეშვება, თითქოს რაიმე სამარცხვინო სურათის საჩქაროთ დაფარვა სურდესო).

## მოქმედება II

**ვითომ-კამათი.**

(სტენოგრაფიულის სისწორით)

**ვით ბრალმდებლის სიტყვა.** ჯოჯოხეთო და ძალნო ჯოჯოხეთისანო! გამუსრული საქართველოო და შენადგურებული სამშობლოო! გაგინებული გრძნობა და შეგმირული პატიოსნება! (ტაში) ბ. ნაფიცნო-მსაჯულნო! იმ დროს, როდესაც სამშობლოს საუკეთესო შვილნი შეთქმულებას ამზადებდენ, რათა დაეხსნათ სამშობლო, რომელიც აგრე უწყალოთ გამუსრა შა-აბაზმა, ესენი, ბ. მსაჯულნო, (ბრალდებულებს უთითებს) მიემსგავსენ დამყაყებულ ჭაობის ბინადარ გველ ბაყაყთა და ქვე-წარმავალთა, შესტოპეს გარყვნილებისა და ავ ხორცობის მორევში და ფარულათ (ოი, გათახსირებავ! თითქო გაუმხელელ სიყვარულსაც სიყვარული ეწოდებოდეს და არა ყოვლად ზნე დაცემული მრუშობა) დიაღ, ფარულათ დაეშვენ მორევის ფსკერში, სადაც ყოველნი ქვემძრომნი და ჯოჯონი გაიხადეს დამსწრეთ თავის უნამუსობისა! (მხურვალე ტაში) ამათ, ბ-ბო, დალუპეს მამული, ერთ თვალის დახამხამებაში დაამსხვრიეს, დალეწეს, მტვრათ აქციეს დიდებული შეთქმულება, რომელსაც საუკუნოების ტანჯვა-წვალებიდან უნდა დაეხსნა ქვეყანა. (გაფთრებული ტაში). ოჰ, რათ არა მაქვს საყვირი, რომ ჩავბერო და ვაუწყო ქვეყანას: აქ შემოკრბით! იხილეთ მამულის გამყიდველნი. რათ არა მაქვს დაფი და ნაღარა, თოფი და ზარბაზანი, რომ ასკეც ძლიერათ შევარყიო ჰაერი და გავაყრუო ყურნი აქ ბრძანებულთა! (გაანჩხლებული ტაში) ბ. ნაფიცნო მსაჯულნო! შეხედეთ ამათ! (ბრალდებულებს მიუთითებს) თქვენს წინაშე სხედან ჯაშუშნი! გაამართლეთ ჯაშუშნი! (საერთო აღტაცება. ხმები: ვაშა, ვაშა! დაუსრულებელი ტაში.)

**I ვით.-ვექილის სიტყვა.** ბ. მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო! დაბადების დამწერს რომ ეწერა ის, რასაც მე აქ ჩავდივარ, ასე გამოხატავდა: „და შეუჯდა საშას ეშმაკი. და რქვა მას: ჰოი ალექსანდრევ, აღმზრდელო ყრმათა ქართველთა! დაუტევე საქმენი შენნი ძნიადნი ფრიად, და მოიღე ჯოხი უბრალო, და შეჯექ ჯოხსა მას ზედა, ვითარცა ტაიჭსა ზედა სწრაფმავალსა, და ივლტოდე სივლტოლაითა ყრმისათა და ღაღად ჰყოფდე ხმითა დიდითა: ესე არს ტაიჭი და არა ჯოხი! და ისმინა საშამან ეშმაკისა, და დაუტევა საქმენი ყრმათა აღზრდისანი და შეიქნა თვით ვითარცა ყრმაი იგი, რომელსა აღზრდიდა, და ჰქმნა ყოველი, ვითარცა რქვა მას ეშმაკმან. და იცინოდის ყოველნი, რომელნი ნახვიდის მას მჯდომარესა ჯოხსა ზედან. და იყო იგი წლისა ოცდა მეათ-შვიდმეტისა.‘‘

გთხოვთ გაამართლოთ ბრალდებულნი,

**სიტყვა ვითომ თავმჯდომარისა ვითომ-ნაფიც მსაჯულთა მიმართ.**

ბ. ნაფიცნო მსაჯულნო! უკვდავმა რუსთაველმა სთქვა: ,,არა მართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანიო,‘‘ მაგრამ ეს სიტყვები აქ მოსატანი არ არის! დაივიწყეთ, ბ-ბო ისინი, როგორც მე დავივიწყე. ნუ მოიგონებთ აგრეთვე იმავე მგოსნის ბრძნულათ თქმულს: ,,თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.‘‘ ეგ თქვენ ოდნავაც არ შეგეხება და მგონი, არც ჩემს მდგომარეობას შეეფერება. გახსოვდეთ, რომ თქვენი მსჯავრი იქნება მსჯავრი არა მარტო თქვენი, არა მარტო აქ დამსწრე საზოგადოებისა, არამედ მთელი ერისა, მთელი ქართველ ერისა! გახსოვდეთ, რომ თქვენი განაჩენი საშვილიშვილოთ აღინიშნება ქართული კულტურის განვითარების მატიანეში და თქვენი ბრძნული მსჯავრი სახელმძღვანელო მაგალითათ დაედება მომავალ საქართველოის მართლ-მსაჯულების ქურუმთ.

ფარდა სირცხვილისაგან იწვის.

**ეპილოგი.**

ნაწყვეტი გაზ. ,,დროების‘‘ მოწინავე წერილიდან.

,,.....ვინაიდან ეს პირველი შეცოდებაა ჩვენი ეროვნული ფემიდასი. თუ არ დაივიწყებთ, რომ მართლმსაჯულების ქართველი ღმერთა ერთ საუკუნეზე მეტია, რაც იძულებით დამუნჯებული იყო და მხოლოთ რამდენიმე თთვეა, საცა აიხადა ბაგეთაგან სამშობლოს გასახარელათ და მის შემცოდე ღვიძლ შვილთა სანუგეშოთ, მაშინ ადგილი აღარ ექნება პესიმიზმს და უიმედობას და ეს პირველი (ვინძლო, უკანასკნელიც!) წაბორძიკება სრულიად ბუნებრივათ ჩაითვლება... და ეს მით უმეტეს, რომ მსაჯულთა შეცდომამ ამ შემთხვევაში ლმობიერებისაკენ გადახარა სასწორი და არა ულმობელობისაკენ, ვინაიდან ,,ათასი დამნაშავის გამართლება სჯობია ერთი უდანაშაულოს გამტყუნებას‘‘! (ეს ანბა-




გუშინ და დღეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნური ჭეშმარიტება საშწუხაროთ არ ესმის რუსთა მსაჯულთა რომელთაც პიროკუდმა შებრუნებულათ წაუწერიათ ეს სიტყვები თავის ,,სასამართლოების'' ბჭეებზე მართალია ძნელი შესარიგებელია მამულის გამყიდველის და სამშობლოს ბედნიერების გამცემის გამართლება და სწორეთ სამართლიანათ უნდა ჩაითვალოს ქართველი საზოგადოების აღშფოთება, განაჩენის გამოცხადებით გამოწვეული, მაგრამ ვიმეორებთ, პესიმიზმს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. კვლავ ამაღლდება ჩვენი ეროვნული მართლმსაჯულება და კვლავ დაბრძანდება მიუდგომლობის ბრწყინვალე ტახტზე, რომელზეც აქამდის იჯდა. ამის თავმდებია ჩვენი სასამართლოს გამოცდილი, ნიჭიერი, ხმა-მკვეთრი და ენა-მჭევრი თავმჯდომარე ბ. ილ: ზურაბიშვილი. ამისავე თავმდებია პოტენციური გრძნობა სამართლიანობისა, რომელიც ქართველ ერში მუდამ ინახება.

ამ ახლო მომავალში გაასამართლებენ შემცდარ ნაფიც მსაჯულთ, რომელთაც მეტის-მეტი ლმობიერება გამოიჩინეს ქ-ნ ქეთევან ლიონიძის და თავ. ლ. ხიმშიაშვილის გასამართლებაში. ქართველნო ნაფიცნო მსაჯულნო! აი აქ, ამ გასამართლებაზე გეძლევათ თქვენ შემთხვევა, ხელახლა აღადგინოთ ჩვენი სამართლის პრესტიჟი და აღადგენთ კიდეც! ამაში ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული....''

თაგუნა.



## სავაზაფხულო სიმღერა.

სალამი ლუსუმ ენძელავ,
სალამი ტურფავ იაო,
შენც ნაკადულო, ლუკლუკავ,
შენც ცის კამარავ ლიაო!
აყვავდი ძირს დედა მიწავ,
გვირგვინათ იქეც ზეცაო,
დაქორწინება უკურთხე
მშვენიერებას შენცაო.
უკურთხე, რომ არ გაშორდეს
თვის სატრფოს დედა-მიწასო,
ზამთარ-ზაფხული აქ იყოს,
სურვილს ემონოს მისასო.
მოფუთნ-მოკაზმოს მიდამო
ადამიანთა ბინაო,
აკმაროს ზამთრის სუსხებში
რაც ცრემლი დაიდინაო.
გულში ჩაიკრას ტანჯული,
ცრემლი შეაშროს მწარეო,
დაუსამაროს რაც ნახა
ტანჯვა და სიმწუხარეო,
ფრთები აასხას ხუნდ-დებულს
აუთამაშოს გულიო,
შეაჯნებინოს დღეს უძლურს
თვის ძალა, ლომის გულიო...
კიდევ სალამი ენძელავ,
კიდევ სალამი იაო,
განაახლევით ქვეყანა
ნასუსხი ნაისრიაო.

ვ. მალაქიაშვილი.

## ახლო მომავლის სტენოგრამა.

**თავადი გოლცონსკი.** სიტყვა ეკუთვნის დუმის წევრს პურიშკევიჩს.

**პურიშკევიჩი.** სანამ ლაპარაკს შეუდგებოდე, მე საჭიროთ მიმაჩნია, ტანთ გავიხადო და გავტიტლიკანდე.

**ხმა მარცხნით.** რაო?

**პურიშკევიჩი:** აი მოვიხსენი გალსტუხი... ვიხდი პიჯაკს... ახლა ჟილეტი...

**ხმა მარცხნით.** (თავმჯდომარეს) შეაჩერეთ ეგ შეშლილი!

**ხმა ცენტრიდან.** თავმჯდომარეს თქვენი დარიგება არ ეჭირვება! გაჩუმდით!

**თავად. გოლცონსკი.** ვინაიდან ნაკაზში არა არის რა აღნიშნული ორატორის ჩაცმულობის შესახებ, ორატორს სრული ნება აქვს ადამის სამოსელში ილაპარაკოს.

**ხმა მარცხნიდან:** ნაკაზი გიჟებისთვის არ არსებობს!

**თავ გოლცონსკი.** ვინ წამოიძახა, ეს? ჩემის აზრით ამ სიტყვების ავტორი ღირსია 5 დღით დუმიდან გამორიცხვისა. (გამორიცხავენ).

**პურიშკევიჩ.** ჰო-ჰო-ჰო! ძირს გახამებული პერანგი! ჰო-ჰო-ჰო!

**მარკოვ II.** ეგრე, გენაცვა! გაიხადე, რაღა!

**პურიშკევიჩი.** ბ-ბო! ახლა მე ვიხდი პერანგს... ახლა ძირს მისი ამხანაგიც!

**ხმა ცენტრიდან.** სანამ ამხანაგს გაიხდიდეთ, ვფიქრობ, თქვენც თუ ინებებთ, მაყურებელ მანდილოსნებს ვურჩიოთ გარეთ გაბრძანდენ.

**ხმა მარცხნით.** გვიან-ღაა!

**პურიშკევიჩი** (ტიტველი)—ჰო-ჰო ჰო. აი, მეც ტიტლიკანა ვარ.

**ხმა მარჯვნით** ვაშა! (გაფთრებული ტაშის ცემა)

**ტიმოშკინი.** ნამდვილი აპოლონ ბერვედელია! (ხმაურობა, პროტესტი მარცხნით. აღტაცებუ-

ლი ხორხოცი და ტაშის ცემა მარჯვნით. ცენტრს დაბნეულობა ეტყობა).

თავ. ვოლკონსკი. ახლა, როდესაც დუმის წევრმა პურიშკევიჩმა საბოლაოთ გაიხადა ტანზე, უმორჩილესად გთხოვთ, არ დაივიწყოთ, რომ თავის დროზე მე სასტიკად დავტუქსე ორატორი. სამწუხაროთ ჩემი შენიშვნა ხმაურობაში ჩაინთქა და ვერავინ გაიგონა. ახლა ვიმეორებ: დუმის წევრო პურიშკევიჩო, გაფრთხილებ, რომ შესაძლებელია, გაცივდეთ და სურდო შეგეყაროსთ.

И. Г-ичъ.

---

# მებაღეს.

დაჰკარ, მებაღევ, ეგ მჭრელი ბარი,
გადააბრუნე მიწის წიაღი,
რომ ხემ ხალვათად გასდგას ძირები
და გამოცოცხლდეს მიმზრალი ბაღი!
შეჰკითხე იმ ვარდს: ,,აბა რა უჭირს,
რომ დაუშვა დაბლა ფოთლები?
რათ მოსჩანს მხოლოთ ერთი ყვავილი
ესოდენ ბუჩქზე, დანაობლები?!‘‘
ჰო .. ვიცი გეტყვის, რომ ძირში უჭირს:
თავისუფლად სვლა არ ძალუძთ ფესვებს:
,,ამ პირობებში ერთი ყვავილიც
მეტი არისო!‘‘ ამოიკვნესებს...
ეჰ, რატომ?,, რატომ?.. დაჰკარ, მებაღევ
აშალე მიწა იმ ვარდის ძირსა
და ბუჩქიც უფრო გალონივრდება:
ყვავილს დაისხამს კვლავ სთვის ხშირსა!
აბა კაკლის ხეს,,, კაკლის ხევ, შენა
გხედავ ამაყად ანამაღლებსა ..
უჰ, რამოდენი ნეყოფი გსხმია!
ველარც კი იტევ, ვხედავ, კაკლებსა:.
—,,რა გამოვიდა!..-რაო? რა სთქვი შენ?!..
—„რა გამოვიდა, რომ ბევრი მესხას,
გულით სუყველა ცუდები იყოს,
გარეგნობით კი კაკალი ერქვას!‘‘
გესმის, მებაღევ?! ბარი ე მაგას!
თუ აშლი მაგის გარშემოც მიწას-
გაისად ნახავ შრომას, ანაზღავს,.!
მიახწევ შენთვის სასურველ მიზანს;
კაკალი ყველა საღი იქნება,
ცუდებს ვერ ნახავ იქ, გენაცვალე...
მაშ, ბარი... ბარი, მებაღევ, მიწას! —
მუშა ხელები დაატრიალე...
აგერ თუთის ხეს... მაგრამ.. ეჰ, კმარა!..
იქ კი... ნარ ეკალს გაუდგამს ძირი,
მრავლებ-ხშირდება და წინ მოიწევს,
სურს-დაიუფლოს მთლად ბაღის პირი..
ცელი მებაღევ! ცელი ე მაგათ!
შემდეგ ძირებზეც დაარტყი ბარი,
გადააბრუნე, გასწმინდე მიწა,
მოსპე ეკალი, ეგ საზიზღარი!
დაჰკარ, მებაღევ, ეგ მჭრელი ბარი!
გადააბრუნე, მიწის წიაღი
და ნახავ, ძმაო, ვით გამოცოცხლდეს
დღეს ასე საწყლად მიმზრალი ბაღი!..

ნ. ზომლეთელი.

---

# დუმბაძე ტოლმაჩოვისას.

(თარგმანი)

**ოდესა.** 8 მარტი. დღეს მოვიდა გენერალი დუმბაძე და ტოლმაჩოვისას ჩამოხტა („Р. У“.).

მართალია, მთა მთას ვერ მოხვდება, მაგრამ გენერალი გენერალს ძალიან ადვილათ შეხვდება.

და აკი შეხვდა კიდეც! როგორც იყო შეხვდენ ერთმანეთს ოდესელი ბაყბაყ დევი და იალტელი ლომ კაცი.

აი რა გვარათ ასწერის ეს შეხვედრა ქ.-რუსთა კავშირის გაზეთებმა.

## I

### დევ-გმირთა შეხვედრა

...სტიქ ონი და ებრაე ები ღელავდენ.

ზღვა შფოთავდა გააფრთებით ღლეჯდა და ანგრევდა თავის ,,ბინადრობის ფარგალს‘‘, რათა ქალაქს დატაკებოდა.

მაგრამ გოდებით ,,ვა-ა აი! იქ ტოლმაჩო-ოვია?‘‘ — უკუ-იქცეოდა ნაპირებიდან და ბოროტებისა და უძლურ გააფთრებისაგან ქაფი ადგებოდა მის ბაგეზვირთებს.

სულ-მოკლე ზეცა დაფრთხა და ღრუბლებს ამოეფარა ლამ-ლამობით იგი სტიროდა.

მზე მხდალათ მიიპარებოდა მოლურჯულ ცაზე, ეშინოდა, თვალი არ მომკრან რუსეთის ორმა ჩინებულმა რაინდებმაო.

ნუ თუ შენც დიადი მნათობი ხარ, ებრაელო!..

## II

### წინა დღით.

ჯერ კიდევ წინა დღით სადღესასწაულო სახე მიიღო ოდესამ.

ქალაქის თავმა საბჭოს საჩქარო კრება მოიწვია. ამ კრებაზე გადასწყვიტეს: გაიღოს ქალაქმა 10 ათასი მანათი დუმბაძისთვის პურ მარილის მისართმევათ.

ასე ანგარიშობდენ: 4 ათასი—პური; 3 ათასი—მარილი; 3 ათასი წვრილმანი ხარჯები.

ოდესის უნივერსიტეტმა დაადგინა: მიერთვას სასიქადულო გენერალს დოქტორობის დიპლომი ასეთი წარწერით: ,,პურ მარილს შეექცეოდე, სიმართლეს გაექცეოდე‘‘.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Вѣд. Од. Гр.'-ში კი ტოლმაჩოვმა შემდეგი ცირკულიარი დაბეჭდა:

„ხვალ გაბედნიერებს მობრძანებით ჩვენს სატახტო ქალაქს ჩვენი სახელოვანი გენერ. დუმბაძე. ვუბრძანებ ყველა ბ. ბ. ლიბერალებს, ბევრს ნუ მიჰქ რავენ და ალტაცებული „ურას" ძახილით მიეგებონ ჩვენს სტუმარს".

ქალ. ოდესის ლიბერალები ძრწუნვით ემზადებოდენ „ურას" საყვირელათ.

III

**ამბორის ყოფა დევ გმირთა.**

დილის 10 საათზე ოდესელები სადგურისაკენ გაემართენ; ზოგნი თითონ მიემართებოდენ ზოგსაც კინწის კვრითა და მუჯლუგუნებით მიამართავდენ

მალე მატარებელიც მოვიდა: გენ. დუმბაძე გადმობრძანდა ვაგონიდან იალტელ ჭეშმარიტ რუსებით გარშემორტყმული.

მისკენ გაექანა ოდესელ ჭეშმარიტ-რუსებით გარ-შემორტყმული გენ ტოლმაჩოვი და დევ-გმირები გადაეხვივნენ და ეამბორენ ერთმანეთს.

მეხისებურმა „ურამ" შეარყია ოდესა. ადგილობრივმა პოეტმა, პაგონებიანმა სტამბის ინსპექტორმა თავი ვეღარ შეიკავა და აქვე შეთხზული ლექსით მიმართა წარჩინებულ სტუმარს:

სალამი შენდა, დუმბაძევ, ჰოი!
შენმა კლდე გულმა არ იცის შიში!
მძლავრი, ძლიერი, მაგარ საცოი
იალტელებსა ჩასჩარი პირში!

გენერლებს გული აუჩუყდათ. გრძნობათა სიჭარბემ ორივე ერთ ადგილს დააკრა და დაამუნჯა.

IV

**ღრმა საიდუმლო.**

რამ გამოიწვია იალტელი გენერალის წვევა?

ბევრმა თავი იტეხა ამ საკითხის ახსნაზე, მაგრამ ჭეშმარიტება მაინც ვერ გამოამზეურა ამ გარემოებამ.

ზოგი ამბობდა, დუმბაძეს აზრათა აქვს: მოსპოს ოსმალეთის კონსტიტუცია, გადააყენოს ეხლანდელი ხონთქარი და მართვა გამგეობის სადავე კვლავ აბდულ-ჰამიდს მისცეს ხელშიო. აქ მოვიდა, რათა გენერ. ტოლმაჩოვს შემწეობა სთხოვოსო.

ზოგსაც გადაეწყვიტა: საქმე სრულებით ოსმალეთს არ შეეხება, არამედ სპარსეთსო. ტოლმაჩოვი რაღაცას შეჰპირდა გაძევებულ შაჰს, და რადგანაც სპარსეთს მარტო ვერ აუვა, დუმბაძე მოიწვიაო.

კანცელარიის გამგეს როგორღაც წამოცდა:

— მთელი ღამე მინისტრებს ტუქსავდა და საყვედურებსა და მკაცრ შენიშვნებს სწერდაო.

მაგრამ ოსმალეთიც, სპარსეთიც, და მინისტრებიც სრულიად გულდამშვიდებით იმყოფებოდენ.

სწუხდენ და შფოთავდენ მხოლოდ ოდესელი და იალტელი ებრაელები.

**ო. ლ. დ—ორ.**

---

**მომავლის იმედს.**

—

ჩემო სიცოცხლის ერთო ნუგეშო,
ცისა ტატნობზე მოგკარი თვალი,
თავზე გაფრქვევდა მთვარე სხივებსა,
ირგვლივ გეხვია ვარსკვლავთა ჯარი.
და მოვინდომე—გვერდში მყოლოდი,—
იმედი ჩემი მწარე ცხოვრების,—
გამოვექანე შენკენ, სულის დგმავ,
მივენდე მსუბუქ ფრთებსა ოცნების..
მარა დამეჭრა მე იგი ფრთები,
ვერ მივაღწიე შენ სამყოფელში,
ვერ ვეამბორე შენ ლამაზ თვალებს,
ვეღარ ჩაგიკარ მხურვალე მკერდში!..

—

ზღვისა კიდეზე მიმოვიდოდი,
შენზე ფიქრებით გარემოცული,
ზღვა მრისხანებდა... კვნესდა, გმინავდა
მწარე სევდებით არე მოცული.
ტალღათა შორის შენ დაგინახე,
შუბლს აღბეჭდოდა ფიქრები მწვავი,
გავშალე ტილო, მოვმართე საჭე
და შევაცურე ზვირთებში ნავი...
გამოვეშურე... ვერ მოვაღწიე,
ვეღარ დაგიხსენ, ვერ დაგეხმარე...
მიმტყუნა ძალამ, დამემსხვრა ნავი
და გამომრიყა ტალღებმა გარე!..

—

ვეღარ გავძელი მე უშენობით,
ყველგან დაგეძებ მწირი ეული...
და დაგინახე: ჩემი იმედი
ციხეში იყავ გამომწყვდეული.
მძიმე ბორკილი გედო ხელ-ფეხზე,
მწარე ფიქრებში იყავ წასული,
ვერ დამინახე თუ რა ვიგრძენი,
როგორ დამეჭრა და დამწყდა გული!..
გამოვეშურე რომ მომეწმინდა
შენთვის ცრემლები და იარები,
გულში ჩაგკვროდი... მარა ვერ შევძელ,
ვერ დავამსხვრიე რკინის კარები!

—

დღესაც ტყვეთა ხარ, სულისა სწორო,
არ გაკარებენ დღისა სინათლეს,
ფეხქვეშ თელავენ უწმინდეს გრძნობას,
კარებს უხშობენ ქვეყნად სიმართლეს...
მარა მე მაინც ვერ დაგთმობ, ტურფავ,
შენით ვსულდგმულობ, შენი მაქვს რწმენა...
რამდენადაც უფრო შენი ხსნა ძნელობს,
იმდენათ უფრო მიყვარხარ შენა!..
და როს შენ გნახავ თავისუფალსა,
მაშინ გაქრება სევდები კრული,
მაშინ იხარებს, მხოლოდ-და მაშინ
ცდლეს შენზე ფიქრით ტანჯული გული!..

**კ. გოგოლაძე.**

## ქართული საღამო პროვინციაში.

(პატარა სცენა).

სცენა წარმოადგენს საკრებულო დარბაზის შესავალ კარებს. კარებს ზევით ნათელი ასოებით აწერია: „ქართული საღამო“. კარების წინ ხალხი ირევა. შესავალში სდგას ორი ვინმე-შავებში, და დარბაზში შემსვლელთ ბილეთებსა სთხოვენ. შესავალს ხუთიოდე მანდილოსანი მისდგომია).

**ვინმე-შავში.** თქვენი ბილეთები?

**მანდილოსნები.**—რასპორიადიტელნიცები ვართ.

**ვინ. შავ.**—ყველანი?

**მანდილ.**—ყველანი, ყველანი (ერთი-ერთმანეთს მიაწვებიან და სწრაფად შედიან).

**ვინ. შავ.**—(შეაჩერებს მიმავალ მამა-კაცებს) ბილეთები გვიბოძეთ, თუ შეიძლებოდეს.

**მამა-კაც.**—ჩვენ ბილეთები არ გვინდა: რასპორიადიტელები ვართ. (შედიან)

**რამდენ. ქალიშვილი.**—ტანსაცმელი დაგვიბარეს და უნდა გარდავსცვალოთ. გაგვატარეთ

**ვინ. შავ.**—მიბრძანდით!

**რამდენ. ყმაწვილი კაცი.**—ჩვენ ხორისტები ვართ, გაგვიშვით დროზედ. (ერთი-ერთმანეთს მიაწვებიან და ვინ-ვინ გაუსწრობს, ისე შედიან).

**ვინმ. შავ.**—(შეაჩერებს რამდენიმე ბავშვს) თქვენ სადღა მიხვალთ?

**ერთი ხორისტი.**—ეგენიც ჩვენთან არიან, გამოუშვით! (ორივ ვინმე-შავებში გაკვირვებით მხარს აწევენ და ერთმანეთს შეხედავენ)

**რამდენიმე მამაკაცი.**—გაგვიშვით, გაგვატარეთ მალე, სცენის მოყვარენი ვართ. (მათ მისდევს რამდენიმე ქალი) მაგათაც ნუ გააჩარებთ, ხომ იცით, უქალოთ არა გაკეთდებარა; ჩვენი ქალებია, სცენაზე გვესაჭიროებიან. (შედიან სწრაფად. რამდენიმე წვეილი ქალვაჟი მიაწყდება შესავალს).

**ვინ. შავ.**—(შეაჩერებენ) ბატონებო, მოითმინეთ, ბილეთები გვიჩვენეთ.

**რამდენ. ხმა.**—ჩვენ თვითონ რასპორიადიტელები ვართ და რა უფლება გაქვთ, რომ გვაჩერებთ. გაგვატარეთ მალე, დაგვიანდა.

**ხმა შიგნიდან.**—გამოუშვით, გამოუშვით: ჩვენები არიან. (ყველანი სიხარულით და კისკისით შედიან. შესავალთან კარგი მოზრდილი ჯგუფი შეგროვდება)

**ვინ. შავ.**—ბილეთები, ბილეთები!

**ხმა.**—უმუშავრები ვართ. ოცდა ათი კაცის შესვლის ნება გვაქვს. (აწვდის ბარათს).

**ვინ. შავ.**—შედით! (ითვლიან ბილეთებს) კმარა! გათავდა ოცდა ათი. მეტი აღარ შეიძლება. (კიდევ ჯგუფი გროვდება).

**ხმა.**—შესცდით, ოცდა ათი კი არა, ოცი არც კი შესულა, შეგვიშვით ჩვენც (მიაწვებიან და ესენიც შედიან.)

**რამდენ. წყვილი ქალ ვაჟი.**—ჩვენ რაღა დაგიშავეთ: ჩვენც უსაქმოები ვართ. შეგვიშვით, თორემ სულ ერთია, კომიტეტს ვსთხოვთ და ის რასპორიადიტლებად დაგვნიშნავს. ჩვენ ვისზედ რა ნაკლებები ვართ, ქვეყანა რასპორიადიტელია? გაგვიშვით ეხლავე.

**ვინ. შავ.**—არ შეიძლება.

**ერთი ქალთაგანი.**—(ხმა მაღლა) მიშა, მიშა, უთხარ შეგვიშვან.

**ხმა-შიგნიდ.**—შემოუშვით, ეგენიც დაგვეხმარებიან (მიაწვებიან ერთმანეთს და სწრაფად შერბიან).

**ფრანტი ყმაწვილი.**—(თავი მაღლა აუღია და შედის).

**ვინ. შავ.**—მოითმინეთ, ყმაწვილო, ბილეთი!

**ფრანტი ყმაწ.**—ბილეთი! რისა?

**ვინ. შავ.**—დღეს ქართული საღამოა.

**ფრან. ყმაწ.**—ქართული საღამო? მერე, მეც ხომ ქართველი ვარ? უცხოელი ხომ არა გგონივართ, რომ ეგრე სასტიკათ მექცევით შინაურს შინაურულად უნდა მოექცეთ, გარეულს-გარეულად. მე აქ ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი, ვეტყვი და მერე ბილეთსაც ვიყიდი (შედის)

(ვინმე შავებში ერთი-ერთმანეთს შესცქერიან).

**„ანათემა“.**—(ყურადღებას არ აქცევს ვინმე-შავებს და მედიდურად შედის)

**ვინ. შავ**—(მოკრძალებით) უკაცრავად არ გახლდეთ, თუ შეიძლებოდეს თქვენი ბილეთი.

**ანათემა.**—(მოტრიალდება და ვინმე-შავებს თვალს თვალში გაუყრის) თქვენი?

**პირველი ვინ. შავ.**—მე რასპორიადიტელი ვარ.

**მეორე ვინ.-შავი**—მეც.

**ანათემა.**—მეც. (დააბრახუნებს მაგრათ ფეხით და გატრიალდება)

(ფარდა)

**ქართული საღამო** ქ. X-ში. (საკუთარი კორესპონდენტისაგან). ქართულმა საღამომ აუარებელი ხალხი მიიზიდა. დარბაზში კაცი კაცს ფეხს ვერ აუქცევდა. საზოგადოება გათენებამდი მხიარულობდა. შემოსავალი დეფიციტით გათავდა.

**ხუცი.**



## შ ა რ ა დ ა.

—

მართალია ჩემ სიტყვაზე
«კოლო» მეტად შეფაფხურდა:
ჩემს შარადას წონი დასდო,
მაზედ გამიუმადურდა,
ჩემი ლექსი, მისი აზრით,
არის რაღაც ხურდა-მურდა...
გრძლათ თქმა ძნელი ამოცანის,
ვნანობ, დღემდის რომ არ მსურდა'.
აწ მეც ენას წავიგძელებ
და ენის წვერს წავიმახვავ:
შარადის ლექს ჩავამწკრივებ,
მოკლე ,,ნანას'' არ მოვჩმახავ,
ქარაგმული სიტყვით ვიტყვი,
რასაც გულში განვიზრახავ
და სიძნელე თუ კარგია,
მასაც მალე დაინახავ!
ჯერ თქვენ სიტყვა მომინახეთ,
რომ ედრთდეს საჩუქარსა:
საქონელზე ამატებენ
ხშირათ, მუშტრის გასახარსა,
ავტორთა წასაქეზებლათ,
ნობელმა რომ დააარსა,
ჟურნალებიც ნიშვნენ ამას,
ხელის მომწერთ გასაჯარსა!.
თქვენ, ამ სიტყვისა ბოლოზე
უკანასკნელი მარცვალი,
იცოდე ერთი ანბანით
იქნება გამოსაცვალი:
მონახეთ ქორონიკონი,
ორასად ამოსათვალი,
და სიტყვის ბოლოს დასწერეთ
მთელისა მარცვლის ნაცვალი!
მაგრამ მით მთელი ცვლილება
კიდევ არ დასრულებულა,
სანამდის ხმაცა-მეოთხე
სიტყვას არ გამოკლებულა
და იგივ ქორონიკონი,
ერთხელ რომ მოხმარებულა,
კვალავ ამა ხმისა ადგილას
ჩვენგან არ ჩამაგრებულა.
ამგვარად სიტყვა გამოვა,
ორ ადგილის ჩანაკერები,
თუ ჯერაც არ მიხვედრილხართ
და უცქერთ განაშტერები,
აწიც ვერ მიხვდეთ, თუგინდ სულ
იგლიჯოთ თმა და წვერები..
ვინც მიხვდით, ეხლა ისმინეთ
ქვემორე დანაწერები!
სახელი მცენარეულის
მონახეთ ქინახულებში:
შემოდგომაზე მოვიწევთ
გაზაფხულს ნათესს ხნულებში,
ხშირად მას გლეხებს აცლიან
გადასახადის ფულებში,
უფრო მიტომაც ძვირობს ის
ყოველ წლივ ცხელ ზაფხულებში..
თქვენ სიტყვა ესე დასწერეთ,
შვიდი ასოთი საწერი,
ასო მესამე, მეოთხე
შიგ არის ამოსაჭერი;
იქით და აქეთ რომ დაგრჩესთ
თქვენ სიტყვის ორი ნაჭერი,
კვლავ შეართეთ ისე, რომ
არ აჩნდეს ამონაკერი;
ახლა მონახეთ ქაღალდის
ოთხჯერ ც მეტი ნაჭერი:
სხვა და სხვა ფერათ და სახეთ
ორივე გვერდზე ნაწერი;
ფულს აგებს, იგეჰს კიდევაც,
იმისი ხელში დამჭერი...
ამ სიტყვაშიაც მესამე
ასოა ამოსაჭერი,
ორი თანსწორი ნაწილი
რომ დაგვრჩა აქეთ იქითა,
მივაკოწიწოთ ერთმანეთს,
რაცაა, იმავ რიგითა
და ჩავამწკრივოთ ესენიც
ჩვენ იმ ,,ხუთ ასოს'' იქითა;
რაც ასოებმა აღნიშნონ,
გამოვთქვათ ერთი სიტყვითა
ორი სიტყვისგან შემდგარი.
ეგ სადღეისო შარადა,
საგნისა ერთის სახელად
მთელია მოსახმარადა;
ჩვენს გაზეთებში დღეს მასზე
მსჯელობენ წარამარადა
და ვინაც ეხლა ვერ მიხვდა,
არა ღირს არც ერთ ფარადა..

**ონისიმე.**

---

# სანაგვე პოეტები.

(ბიბლიოგრაფიის მაგიერი)

**ამბაკო ბ. მაღრაძე.**

მას შემდეგ, რაც ბ ნმა მაღრაძემ გაიგონა „პოეტსა ააქვს ქებაო“, საოცარის თავგამოდებით შეუდგა ამ „ქების“ დამსახურებას. საზოგადოთ, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ამბაკო ესარჩლება უმეტეს „ცხოვრებით გამონაღველებულ“ არსებებს და მათ შორის, რაღა თქმა უნდა თევზს პირველი ადგილი უჭირავს:

„თევზმა სთქვა წყალში გავზრდილვარ
ქვას ქვეშ ცხოვრებას ჩვეული,
უღელ ნადირ და ფრინველში
ვარ ჩემთვის გამორჩეული.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ თითონაც გეცოდინებოდათ, მაგრამ აქედან ცხადზე უცხადესათ სჩანს, რომ „ყველა ნადირებში“ რაღაც გამორჩეული არსებობა აქვს საბრალო თევზს. არა თუ „ნადირებში“, წარმოიდგინეთ „პირუტყვებშიაც“ კი

„რაკი რომ დავბადებულვარ
ეს სიფრთხილე მისწავლია,
ისრე ვფრთხი კაცის დანახვას
თითქო მემართოს ვალია.“

ყოველივე ეს ხდება ასე, არა მარტო იმიტომ რომ თევზი „დაბადებულა,“ არამედ

„რამეთუ მტერი ჩემდონი
არავის გააბადია.“

„მხეც“ თევზეიბს შემდეგ ბ-ნი მაღრაძის უზომოდ მომსკდარი“ მუზა ეხება „ზაქარია ჭიჭინაძეს“ და სხვა ამგვარ საოცნებო საგნებს, საიდანაც გადადის საარშიყო ლექსებზე. პოეტს, აქაც, არშიყობაშიაც, სისტემა შეაქვს და „ანი“-დან დაწყებული „ჯან“-ამდე ყველა ასოზე სწერს თითო საარშიყო კუპლეტს. ეს საუცხოვო ნაწარმოები ასე თავდება

„ჯ“

„ჯვარზე ხელი დაადევი
და ერთგულად დაიფიცე,
მაღრაძესთან სიყვარული
დღეის იქით დაიმტკიცე.“

მიკვირს, „ფიცი“ რაღა საჭირო იყო, ვინაიდან ვინ იქნება ამ პატარა (14 გვერდი) წიგნაკის წაკითხვის შემდეგ მაღრაძესთან სიყვარული“ უამისოთაც არ „დაიმტკიცოს“.

თუ არა გჯერათ, აი დახედეთ მის პოეტურ ნიჭს“ ბუნების აწერის საქმეში. რომელის საუცხოვო ნიმუშია **„ბორჯომის ლექსი.“**

„ბაღებია მომართული
გეგონება სამოთხეო
მის ზნოვების მოშორება
ეზარება ყველასვეო.
შუაზე მტკვარი გადმოქუხს
და ჩამოდის მწვანეზეო.
ბაღიც არის შერაგული
მონაქსოვი ეკალზეო,
რით დაგრიხეს ეს მავთული
გააკედეს გარეზეო,
შიგ ვერაფერი გადევა
სულიერი ფრინველზეო.“

ხომ ხედავთ, „პოეტს“ უკვირს „რით დაგრიხეს მავთულები“, რომელშიაც ვერ გადავა ვერაფერი „ფრინველზე სულიერი“, მაგრამ აქ ტეხნიკის უცოდინარობას არ უნდა მიექცეს იმდენი ყურადღება და მან არ უნდა დაჩრდილოს „პოეტის“ მხატვრული ნიჭი.

ამ უკანასკნელმა ე, ი. მხატვრულმა ნიჭმა თავი იჩინა მიწის ძვრის დროსაც და „ამოანაღვლებია“ პოეტს საუცხოვო ლექსი **„მიწის ძვრა“**

„ათას რვაას ოთხმოც ცხრამეტს
მიწა იძრა საშინელი,
უცებ დაიწყო გრიალი
სახლებმა შეჰქნეს ძგრიალი.
ხალხი დიდი და პატარა
მეტად შესწუხდენ ხნიანი
შიშის ზარი და ყვირილი
შეიქნა მეტად ხმიანი.
უცებ დაიწყო ძიძგინი
მთა ბარმა შეჰქმნა ხრიალი,
ყველა დანგრევას დაადგა
ცოდვით დაიწყო ტრიალი.“

ხედავთ?!! აი ამ საშინელ დროს, როცა მიწას გაჰქონდა „გრიალი, ძგრიალი, ხრიალი და ტრიალი“, როცა „შიშის ზარი შეიქნა ხმიანი“, როცა „ყველა დანგრევას დაადგა“ არ დანგრეულა მხოლოდ პოეტის თავი, ის ამ დროს ისეთ საოცნებო ლექსსა „ჩხაბავდა“, რომლის ნაწილიც აქ, ზემორე მოვიყვანეთ. ახლა არ იკითხავ, რატომ იძრა მიწა? რისთვის „დაადგა ყველაფერი ნგრევას,“ გარდა ბ-ნი მაღრაძისა? აი რისთვის:

„აწ თუ ჭკუით არ ვიქნებით
დაგვექცევა არე-მარე,
ამ ლექსს ვწერავ ყოველთათვის
ღმერთო ძალი მამახმარე
ყველას სმენა მაანიჭე
ეს ზიანი დაგვაკმარე
და რადგან ვართ შეცოდებით
შეგვიბრალე დაგვიფარე.“

აბა რომელი თქვენგანი იფიქრებდა, მიწის ძვრა ადამიანთა ცოდვებისაგან იყო გამოწვეული?! რასაკვირველია არავინ; თუმცა ჩვენს პოეტს მაღრაძეს „სწავლაზე არ დაუხარჯავს ქესები“, მაგრამ ღმერთმა მაინც უბოძა გონება დასათესები.“

მგონი გაგვიგრძელდა ამბავი, მაგრამ რას იზამთ, ამდენ საგულისხმიერო „ნათესს“ უყურადღებოთ ხომ ვერ დასტოვებთ. აი თუნ ლექსი **„წმინდა ცა და მთვარე“**

„ცა ფირუზ ლალით მორთულა
ამხვია ყოველ მხარესა,
ზედ ვარსკლავთ ჯარი ლამაზად
აბჟღვინებს არე მარესა.“

მარტო ეს „აბჟღვინება“ რათა ღირს, მაგრამ ესეც ფერსა კარგავს **„შობა-აღდგომის“** აწერილობასთან.

„შობა მოდის გვიხარიან
ქრისტიანის ნაწილებო,
ეს დღეობა ყველას გვიყვარს
ვინც ვართ ქრისტეს საწილებო.
სიხარულით მივეგებოთ
დიდებო თუ ტანწვრილებო.“

აი აღდგომაც:

„შუა ღამემ მოატანა
ასტყდა ზარების ზრიალი,
ხალხნი ყველა იჩქარიან
გახდნენ საყდარზე გრიალი.
სანთლის შუქი შორით გაზდის
და კელაპტრების პრიალი
ლიტონიას დაემზადენ
სურს გარეშემო ტრიალი.“

ახლა კი ჯერი მიდგა მგოსნის უკანასკნელ ლექს-

ზე, რომელსაც ეწოდება **„ჩემი ამბავი“**. აქ ამბაკო მაღრაძე მოგვითხრობს თავის ავტო-ბიოგრაფიას.

„დარდმან საბრალოთ გამხადა
გამდევი სიხალისისა,
თუ ცუდსა ვხედავ ვლონდები*)
და ვარ მწერალი მასისა.
არ ვაქო გარდა სიმართლის
არ რა სიკარგე სხვისისა,
ვწერავ ამბაკო მაღრაძე
მცხოვრები მარელისისა.“

აი აქედან მტკიცდება, რომ პოეტი მაღრაძე ყოფილა მარელისის მცხოვრები და საკუთრება.

„ვინც იხილოს ეს ლექსები
მცირე ცოდნა არ დამძრახოს;
ყოველ საგანს დაუკვირდეს
ბოროტი არ განიძრახოს.
რა მოსწონდეს ჩემი შრომა
როს წყობილი სწორად ნახოს
და ამ ლექსით მიგონებდეს
კარგიათ მან იძახოს.“

სრული იმედი მაქვს მკითხველები ამ წერილის შემდეგ ,,იძახებენ კარგიათ'', რადგან მაღრაძის სიტყვით:

„ეს ამბავი და ლექსები
ქვეყანას მოედებიან,
თუ ღმერთმან დღენი მიმოძა
ქება არ მომაკლდებიან.“

ამას არცა სტყუის ბ-ნი მაღრაძე, რადგან მისი ლექსი უკვე ,,**მეორე გამოცემით**'' გამოსულა მიუხედავათ იმისა, რომ ფასი 25 კ. აწერია

დასასრულ ვსთხოვ მკითხველებს გული არ გაიტეხონ, ვინაიდან ბ-ნი მაღრაძის ნიჭი ახლა ვითარდება:

„ეს წიგნი არის პირველი
ჩემისა გამოთქმულისა,
და აწცა ბევრსა დავსწერავ
თუ ვიქმენ დღისა სრულისა.“

დიახ, ცხადია თუ მარტო ,,სრული დღისა'' იქმნა ჩვენი პოეტი და ,,სრულ ჭკუისაგან'' ეგზომ შორს დარჩა, იმედი უნდა ვიქონიოთ ,,აწცა ბევრს დასწერს'' ამის მაგვარს

ამით ვათავებთ ,,ამბაკო მაღრაძეს'' და გადავდივართ მეორე სანაგვე პოეტის **ნატალია გიგაურის** ნაწარმოებთა განქიქებაზე

**ნაცარ ქექია.**

---

## PERPETUUM MOBILE.

მოგეხსენებათ, ერთ პატარა ნაპერწკალს შეუძლია მთელი ქალაქი ამობუგოს და გააპარტახოს. ამიტომ რაღა გასაკვირია, თუ იმ უბრალო შემთხვევამაც ასეთი საარაკო უბედურობა დაგვატეხა თავს.

გაზ. ,,დროების'' მე-61 ნომრის ,,დღიურში''

*) ცხადია ბ-ნ მაღრაძეს თავისი ლექსები არ დაუნახავს, თორემ ამდენ ხანს «დარდი და დაღონება» გადაიტანდა.

ეშმაკი.

სწერია: ,,იმით მაინც უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ უბედურება რამე დაგვატყდება თავზე, გამოგვაფხიზლებს და ცოტათი მაინც ავმოძრავდებით''.

რა იცოდა ბ-ნმა სიტყვამ, რომ მისი ბრძნული აზრი ეგრე მალე გამოგვადგებოდა.

სამწუხაროთ ადამიანთა ცხოვრებაში ხშირია ისეთი წუთები, როდესაც პირადი მწუხარება ჩრდილავს საზოგადოებრივ სიხარულს.

16 მარტს სააზნაურო თეატრის დარბაზში სათამაშოდ შეიკრიბა ქართველი საზოგადოება. ისეთ მძიმე შრომა-მოსაქმეობის შემდეგ, რომელშიაც ყელთამდე ჩაფლულია ჩვენი წარჩინებული საზოგადოება და მოაზრე ინტელიგენცია, თამაშობა დიახაც საჭირო და სასარგებლო რამეა მაგრამ ქართველის ბუნება, მუდამ სულიერ საზრდოს მოწყურებული, უბრალო თამაშშიაც გონების სავარჯიშო მასალას ეძებს და რაღა გასაკვირალია, თუ 16 მარტის სუდობანმა დამსწრე საზოგადოება თავდავიწყებამდე მიიყვანა.

დაჰკვესა პატარა მხიარულმა ნაპერწკალმა და აკი ქართველთა გონება აანთო

მაგრამ აი დაჰბერა ნელმა ბორიომ, ცეცხლი გაავრცელა, ააგუზგუზა და მოწამე გაგვხადა ნერონის ჩირაღდნებისა.

ქეთევან ლეონიძის გამართლებამ თავზარი დასცა თვით ახოვან თავმჯდომარეს სუდობანისას ილ. ზურაბიშვილს და სწორეთ აქ იწყება ულმობელი Perpetuum mobile.

ძვირათ დაუჯდა ახალგაზრდა მსაჯულ-ორატორს უმანკო თამაშობა

მას ენა ჩაუვარდა. ექიმმა გედევანიშ*) რენტგენის სხივების საშვალებით საცოხნელ კუჭში აღმოაჩინა მისი მდებარეობა. გედევანიშ ექიმობაზე უარი განაცხადა, რის გამოც იძულებული გახდენ, ვეტერინართა დახმარებით კონსილიუმი გაემართათ.

ბ-ნი ,,Bâton''-ი ჟურნალი ,,ერის'' რედაქციაში იჯდა, როცა სამწუხარო ამბავი შეიტყო.

ილია ზურაბიშვილის ,,ერთად-ერთ'' ქართული ენის დაკარგვამ თავზარი დასცა მას და უგრძნობლათ ჩაჰკეცა სავარძელში. ამბობენ, დამბლა მოუვიდათ.

პეტრე სურგულაძემ ,,ბატონ''-ის დაკარგვის ამბავი ტრამვაის დახურულ ვაგონში (№ 42) გაიგო. მსწრაფლ წარსტაცა გვერდში მჯდომ უცნობ ქალწულს შლიაპიდან ბასრი ქინძისთავი და წინაშე ყოველთა მწუხარე გული განიგმირა **).

თავად ნიკო ლორთქიფანიძეს პეტრეს განტევების ამბავმა მინიატიურის წერის დროს მოუსწრო.

*) ვგონებთ, იტალიელი უნდა იყოს.

**) როგორც გავიგეთ, ეს ტრაღიკული ქინძისთავი მომავალ ეროვნულ მუზეუმისათვის შეუძენიათ.

დაქწერა მხოლოდ ორი წინადადება ***). ამ ამბავ-მა იგი საბოლაოთ გამოარკვია: ერთი საზარლათ შეჰყვირა: Vive la France! Да здравствуетъ Деруледъ-ო და სახე სამუდამო ლურჯმა ღიმილმა გაუბრწყინა. ამ ჟამად ის ჰამბურგში მთვარეს აკეთებს და ამბო-ბენ, სხვებზე უკეთესადაც აკეთებსო

,,ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ყოველი პატიო-სანი კაციო''... ღვინით სავსე ყანწით ხელში გრგვინავდა არშაკას სირაჯხანაში სვ. ყიფიანი, რო-დესაც თავადი ნიკოს ჰამბურგის სახელოსნოებში წასვლის ამბავი მიუტანეს. მთვრალივით დაბარბაც-და და ენა ბრგვილივით წაილუღლუღა: ,,აფსუს რა ბიჭი ..' ეს იყო და ეს. სვ. ყიფიანი უგრძნო-ბლათ მიესვენა ღვინით აღსავსე კამეჩის რუმბს.

ვიღაც მეტიჩარა ჭირისუფალს ქართველი ერისას ეს ამბები დეპეშით უცნობებია ჩეხიაში მყოფ ქარ-თველ ისტორიულ არქეოლოგ გიორგი გვაზავასა-თვის. ამ ამბებით სასო წარკვეთილმა მგოსანმა მყი-სვე თავის მოკვლა გადასწყვიტა და თავ-დაუზოგვე-ლათ გადაჰკრა ერთი ბოთლი ალიზარინის მელანი. გაპირშავებული მგოსანი სარკესთან მიიჭრა და რა იხილა ფერმკრთალი და მთრთოლვარე სახე, შიშის ჟრუანტელმა დაუარა და ყველაფერი დაავიწყა. სა-შიში საწამლავის გასაქარვებლათ მან გაფთრებით დაუწყო ღრღნა და ჭამა საშრობ ქაღალდს. სამწუ-ხაროთ ამ საშვალებამ ვარესათ გახადა: ქაღალდმა შინაგანი სითხე შეიწოვა და მუცელი ძალზე წამო-უბერა. სასო წარკვეთილმა მგოსანმა გასაწმედ საშ-ვალებას მიმართა, მაგრამ ამანაც უკუღმართი გავ-ლენა იქონია და სიკვდილის წინაშე მდგომმა მგო-სანმა უაღრესი ტრაგიზმით აღსავსე ლექსი გადმოან-თხია****.

---

***) ვაწოდებთ მკითხველებს ამ დაუმთავრებელ ხელ-ნაწერის შინაარსს:

„ვნახე წყარო, წყარო უშრეტი, ბუხრის ნანგრევით გა-დმომჩქეფარე.
და იქვე ახლოს, ზღუდეთა შორის, გაძრცვნილი ტურფა მკრთალად მდებარე...
მიველ და ვკითხე, თუ ეგე სითხე, შენს მომხიბლავ ტე-რფას რათ არ სდინდება?.. რომ დავეწაფო მკერდსა უმანკოს და მუნ ვაპკურო ჩემსა ოცნებას...“

****) „პარდახვეწილი
მამულიშვილი
მუცელ ბერილი
ობლათ შთენილი
ვაი სად ვკვდები!
მელან ლეული
გულ მილეული
(აზრი ეული
მიფრთხის წყეული!)
ვაი სად ვკვდები!
მეხუთვის თვალი...
ტიტველი ქალი
ვაჰ ჩემი ბრალი
სამშობლოს თვალი
ვაი სად ვკვდები!

გ. გვაზ....

ბ-ნ ეშმაკს ეს ამბავი დაწვრილებით მოახსენეს, ხელი ჩაიქნია და სთქვა: ,,აწ განუტევე მონა შენი, რამეთუ შეედგომად განწირულისა ამა სოფლისა არა აქვს მიზანი ყოფასა ჩემსა'' და გაჰ-ქრა....

P. S. ქვეყანა ძაძით იმოსება, ქვანი სტირიან, ზეცას წარბი შეუკრავს და მწუხარეთ ქვითინებს, ანკარა მტკვარი დრტვინავს და გოდებს, ჩვენც მდუ-ღარე ცრემლით ვდნებით და ვილევით, და მხოლოდ ,,სიტყვას,'' ,სიტყვას'' უძლევია პირადი მწუხარე-ბა, გულშივე ჩაუკლავს იგი და იმედით აღფრთო-ვანებული საყოველთაოდ ლაღადებს:

— ზოგი ჭირი მარგებელია, ჭეშმარიტათ ნუ-გეშის მცემელია! იმით მაინც უნდა დავკმაყოფილ-დეთ, რომ ეს უბედურება გამოგვაფხიზლებს და აგ-ვამოძრავებს

*XX*

---

# კრება არ შესდგა...

ამ ნომრისათვის დანიშნული კრება ახლად შო-ბილი მეოთხე დასისა“ აღარ შესდგა, რამეთუ ბ-ნ „მენავეს'' ბახუსინი დამართია, ხოლო დანარჩენი ,,წევრები'' მედიატორეებს ეძებდენ ,,ახალშენის'' მამულების იაობაზე. არ გამოცხადდენ აგრეთვე არც მოწვეული პირები:

**თავადი ფრიდონ ხმალაძე.** (გოთუას ავათმყოფო-ფობის გამო).

**აზნაური დუკა გაბუნია.** (დეპ. კ. ჩხეიძის წინა აღმდეგ სიტყვას ამზადებდა და ბათუმის მახლობლათ მაჰმადიან ქართველთა ადგილებს ყიდდა.)

**ეპისკოპოზი არტემი.** (,,ღაღადისს'' ადგენდა ქართველთადმი მამულებისა და ოქრო-ვერცხლის შეწირვის შესახებ.)

**დეკანოზი ტიმოთე კუტალაძე.** (,,შინაურ საქმე-ებისათვის'' მეთაურსა სწერდა).

**ბლაღოჩინი მათე ქრთამაძე.** (სამრევლო სკოლე-ბის მასწავლებელთა ჯამაგირებს ,,ანაწილებდა''.

**მღვდელი სოსო ხეტუაშვილი.** (დრამის ფულებს ჰკრეფდა)

**მექარხნე ზოზინ დაშაძე** (ბოქაულს ,,მავნე'' მუშათა სიას უკითხავდა.)

**ვაჭარი დახლიდარ გილდაძე.** (კარგი ვაჭრობა ჰქონდა და მაღაზიას ღამის თორმეტამდი ხომ ვერ დაკეტავდა.)

**მუშა იაქე ფანჯუკიძე.** (ნარდს გადაჰყოლოდა და მოწვევის ბარათი დავიწყებოდა.)

**გლეხი თევდორე მოდრეკილაძე.** (წამოსულიყო, მაგრამ ,,ობლავაში'' მომხდარიყო და დაეჭირათ.

ამის გამო კრება გადაიდო შემდეგი კვირისა-თვის და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

---




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ,,მ ა მ ლ ა ყ ი ნ წ ა‘‘.

—

ახირებული ხალხნი ვართ ჩვენა,
(ისემც ჩვენს ეშმაკს მიეცა ლხენა!)
ჩვენი საუნჯის არ ვიცით ყადრი,
მზედ მიგვაჩნია მთვარე პირ-ბადრი,
,,შინაურ მოძღვრებს არ ვსთხოვთ შენდობას‘‘,
თავი მივეცით უიმედობას:
მოვსთქვამთ და ვტირით განუწყვეტელათ
(ლამის მსოფლიოთ წავლეკოთ მთელათ!)
თუ სადმე რამე წაიოხუნჯეს,
წკიპურტი წაჰკრეს ქვეყნის საუნჯეს,
ყალხზე შედგება იმ წამსვე ყველა,
მომარჯვებული აქვთ ხელთ ..ფელა!
აი თუნდ ახლა, ამ დიდ მარხვაში,
პაწაწა აზრი მომიდის თავში;
თუმც ხუმრობაა და გასათრობი
მაგრამ მე მაინც კრძალვით მოვყობი.
— ერთხელ ქართველთა ,,ნორჩი მნათობი‘‘
(,,ოცნების მხარეს‘‘ უკვე ნამყოფი!!)
ფრთოსანთა ეზოდ შემოსულიყო...
(,,მუზებს‘‘ ეძებდა თურმე სულიკო.)
მუნ სამსე იყო ფრინველთა ჯური,
ბატი, ქათამი, თუ ინდოური;
ყველა მათგანი ,,ტურფათ გალობდა‘‘
ვისაც ,,დროება‘‘ რა ზომ სწყალობდა.
მხოლოდ ,,მნათობი‘‘ მუნვე მჯდომარე,
ხმას არ იღებდა, იყო მდუმარე.
ის წარეტაცნა მუზათა დენას
და ტყვევნილ ექმნა ,,ყიყლიყოს‘‘ სმენას:
(მოგეხსენებათ, რომ მამლის ჰანგებს
ევროპაშიაც უწყობენ ჩანგებს!)
ვითარცა ელვა ზეცით ნასროლი,
ეგრეთვე მუზა უცხო, ობოლი
მგოსნისა თავსა გადმოევლინა
და მუნ სამკვიდროთ დაიდგა ბინა.
მსწრაფლ მიიბჯინა შუბლს თითის წვერი,
(მრჩობლ ზეკაცურათ გამონაღერი!)
ზე წამოიჭრა ვით დანაგესლი,
თვალთ უბრწყინავდა ღვთიური ცეცხლი
და ხმით ნარნარით დაიღაღადა:
— სჩანს დასვენების განვლილა ვადა!
სჩანს თვით განგება მაღლით დამყურებს
ციური ნიჭის მადლით მაპკურებს.
ზენაარსს უნდა მომწყვიტოს მიწას,
მაშ წავალ, დავსწერ მეც ,,მამლაყინწას‘‘.

—კი.

* * *

არა, შენ მარტო გუნდრუკს ვერ გიკმევ,
გულს ვერ დამიტკბობს შენი თვალები!..
შვებას ვერ მომცემს ბროლის გულ მკერდი,
წამწამ-დალალნი გიშრის მდარები!..
შენს გარდა მდელოც მეპატიჟება,
გულს გასაკრავათ მიწვევს მთა ბარი,
ბულბულის კვნესა, ნაკადის ჩქეფა,
გული ქვეყანა ედემის მდარი...
იქ ტურფა ია სალამს მიმზადებს,
აქ შემომცინის ნაზათ ენძელა...
იქ შველის ნუკრი ხტუნვით მახარებს,
აქ დამფარფატებს ჭრელი პეპელა..
ყველას შევხარი .. ყველა შემხარის...
მე ყველა მიყვარს, ყველას ვუყვარვარ..
გულ ახდით გეტყვი, ვერ დაგიმალავ,
რომ მარტო შენი არ ვარ და არ ვარ...

ვ. მალაქიაშვილი



## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ჟურნალ მათრახ-სალამურის მე-8 ნომერში მოთავსებული შენიშვნა, ვითომ მელიტონი (მღ. მელიტონ ქავჯარაძე) გლოვდეს ინსპექტორის ექვ. გორგასლიძის გადაყვანას და იმავე ჟურნალის მე—10 ნომერში მოთავსებული კარიკატურა, რომელშიც მ. მელიტონი ცრემლების ღვრით და გვირგვინით აცილებს გორგასლიძეს, საზიზღარ ცილის წამებას წარმოადგენს: გორგასლიძე არ ,,აბარგებულა‘‘ და რომც ,,აიბარგოს‘‘, მ. მელიტონისთვის ეს არც სამხიარულო იქნება და არც სამგლოვიარო, რადგან სრული დარწმუნებული ვართ მ. მელიტონ ქავჯარაძის სიმრთლე, პატიოსნება და რაციონალური პედაგოგიური მოქმედება სრულიად არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ ინსპექტორის პიროვნებაზე, პირიქით მისი (მ. მელიტონის) ზემორე მოხსენებული თვისებები ისე თვალსაჩინო არის, რომ მფარველები და ქომაგები არ სჭირია მას ამისთვის ჩვენ უკმაყოფილობას უცხადებთ იმ კორესპონდენტს, რომელმაც, უთუოდ, პირადი ინტერესების გამო შეცდომაში შეიყვანა ჟურნალი მათრახ—სალამურის რედაქცია და მით ყოვლად დაუმსახურებლად ჩირქი მოეცხო მ. მელიტონ ქავჯარაძის პატიოსან სახელს.

ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის (საბჭოს წევრნი) მასწავლებლები:

გიორგი კენკაძე, ნიკო შაფაქიძე, სეფე ბეს....ვილი,
ივანე ნიჟარაძე, ბიქტორ გრიგორაიშვილი,-
ომაინ ნაკაიძე.

ბ. რედაქტორო! რადგან დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ჟურნალი იცავს ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ინტერესებს, ამისთვის დაბეჯითებით ვთხოვთ იმავ სასწავლებლის ინტერესის დასაცველათ-აუცილებლად უცვლელად*) დაგვიბეჭდოთ ეს ზემორე მოყვანილი ჩვენი წერილი მ. მელიტონ ქავჯარაძის შესახებ თქვენი ჟურნალის «მათრახ-სა-

*) სიამოვნებით ვასრულებთ ოზურგეთის სამოქ. სასწ. საბჭოს წევრთა თხოვნას და ამ წერილს სრულიად უცვლელათ ვბეჭდავთ. ავტორების მართლ წერაც სასტიკათ დაცულია. რედ. „მათრახ-სალამურისა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამურის» მეთორმეტე ნომერში ჭეშმარიტების აღსადგენად.
15 მარტი 1910 წელი.

ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებ..ის (საბჭოს წევრნი) მასწავლებელნი.

გიორგი კენკაძე.
ნიკო შაფაქიძე.
ბიკტორ გრიგორაშვილი.
ავანე ნიჟარაძე, ომაინ ნაკაიძე.

---

**იყიდება „შრომის“ სტამბაში**

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:
1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

## მათრახის ფოსტა.

**ხაშური.** გ—ლის. თქვენი პასუხი პაპინაშვილის წერილზე არ დაიბეჭდება, რადგან ძლიერ ვრცელია და კითხვაც გამორკვეული.

**თავ-თავის ალაგას.** „წიწილა“
„ბუქს“, „მიმინოს“, და „ერთ ყმაწვილს“
„დაკუნიას“ და „კაკულის“
„მაღრაძესა“ და „ბზიკიშვილს“
„ტიკტიკაძეს“ და „კაჟიძეს“
„ჩხიკვის თავას“, „ნორაკიძეს“,
„ჩიტუნიას“ და „გუმბრალას“
„კურდღელსა“ და „ყია მყრალას“..,

„მათრახ-სალამურის“ რედაქცია გულითადის მწუხარებით აუწყებს, რომ მათი ლექსები და „პოეზიები“ რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ დაიბეჭდებიან.

---

**წლიწადი 1910 წლისათვის მეორე.**

მიიღება ხელის მოწერა

**ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე**




ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, ავუსტროს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

**პრემიათ გაეგზავნება**

**ახალი კრებული**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.
**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Рис. А. Юнгера.

# ნ უ გ ე შ ი.



ჟურ. „სატირიკონი".

**ინსპექტორი.** სამწუხაროდ ამ ჟამათ არ შეგვიძლია, ქ-ნო, თქვენი პატარა ბიჭიკო მივიღოთ, ერთი ვაკანსია არ მოგვეძევა თავისუფალი.

**მთხოვნელი.** მაშ რა გვეშველება, ბ-ნო ინსპექტორო, რა გვეშველება!

**ინსპექტორი.** ნუ სწუხხართ, ქ ნო, ამ ცოტა ხანში რომელიმე ამათგანი ან თავს ჩამოიხრჩობს, ან მოიწამლავს და თქვენი პატარასათვის ადგილი უთუოდ განთავისუფლდება.

(ჟურნალ „ბუდილნიკიდან")



მ ო ჭ ი დ ა ვ ე ნ ი.



მ ო ჯ ი რ ი თ ე ნ ი.

## როგორ აუმჯობესებს სპორტი ადამიანთა მოდგმას.